საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/45-2007 „27“ აგვისტო 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონული სასამართლოების ლიკვიდაციისა და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებული საკადრო საკითხების შესახებ

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 13 თებერვლის №106 ბრძანებულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

I. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54^1 მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად მიემართოს საქართველოს პრეზიდენტს, რათა –

1. მოსამართლე არარატ ესოიანი გათავისუფლდეს ახალქალაქის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეეთავაზოს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

2. მოსამართლე ნოდარ გვარამაძე გათავისუფლდეს ახალქალაქის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან

და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეეთავაზოს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

3. მოსამართლე როინ კახიძე გათავისუფლდეს ნინოწმინდის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეეთავაზოს ლენტეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

4. მოსამართლე ანაიტ ოგანესიანი გათავისუფლდეს ნინოწმინდის ლიკვიდირებული რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში შეეთავაზოს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება ნინოწმინდის რაიონში.

II. მოსამართლეთათვის კონკრეტული შეთავაზება უზრუნველყოს და გადაწყვეტილების შესრულებაზე საერთო კონტროლი განახორციელოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გ. ხიზანიშვილმა.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივანი